საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ჩხეიძე ნიკოლოზ (კარლო)



ნ. ჩხეიძე

ჩხეიძე ნიკოლოზ (კარლო) (1864-1926), საქართველოს და რუსეთის პოლიტიკური მოღვაწე, სოციალ-დემოკრატი, ქართული და რუსული მენშევიზმის ერთ-ერთი ლიდერი. სწავლობდა ნოვოროსიის უნივერსიტეტში ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე, მაგრამ არ დაუმთავრებია, რადგან სტუდენტთა მოძრაობაში აქტიური მონაწილეობისათვის გარიცხეს. 1907 წლიდან იყო რუსეთის III და IV სახელმწიფო სათათბიროების (სახელმწიფო დუმის) დეპუტატი თბილისის გუბერნიიდან, მენშევიკების ფრაქციის ხელმძღვანელი. 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ, თებერვალ-აგვისტოში, იყო მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების პეტროგრადის საბჭოს თავმჯდომარე. 1917 წლის აგვისტოში სახელმწიფო თათბირზე გამოდიოდა დემოკრატიული ხელისუფლების განმტკიცების მხარდაჭერით. ოქტომბრის რევოლუციის წინ იგი პეტერბურგიდან საქართველოში დაბრუნდა. 1918 წელს აირჩიეს ამიერკავკასიის სეიმის თავმჯდომარედ, ხოლო 1919-21 წლებში იყო საქართველოს დამფუძნებელი კრების თავმჯდომარე. 1921 წელს, საქართველოს გასაბჭოების შემდეგ, ემიგრაციაში წავიდა საფრანგეთში. ხუთი წლის შემდეგ სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა. კ. ჩხეიძე დაკრძალეს პარიზში, პერ-ლაშეზის სასაფლაოზე.